



2011 წელი, 22 დეკემბერი

ფასი 1 ლარი

# ახალი ბანათლები

№40 (554) ბაზლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


გილოცავთ დაძვევ შობა-ახალ წელს



კოგა ჩანადირის ფოტო

## ხელმოწერითა საყურადღებოდ!

„ახალი ბანათლები“ ხელმოწერის  
მსურველებს შეუძლიათ  
2012 წლის ხელმოწერის თანხა  
(ერთი წლით – 52 ლარი, 5 თვით – 26 ლარი)  
იანვრის ბოლომდე, გადმორიცხონ  
ჩვენს რეკვიზიტებზე:  
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი  
ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735,  
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL



გამომცემის  
პროფესიული ცენტრი

გამოსაშვები  
გამოცდები

2011-2012 სასწავლო წლის  
სკოლის გამოსაშვები  
გამოცდების საგამოცდო  
პროგრამები  
მათემატიკა

გვერდი 5-9



C M Y K

# „გიჟვარდით, კაცნო, ერთმანეთი“



„არწივი ვნახე დაჭრილი ყვავ-ყორნებს ეომებოდა“ – ისმის სცენიდან...  
 „ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო ცოცხლად დამმარხავ თავისა“ – ბუბუნებს აფშინა...  
 „თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი იაო“ – ამღერებულან ვაჟას პოეზიის მარგალიტები.  
 ...ლექსს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას – ცეკვა, ცეკვას – მხატვრული კითხვა ვაჟას მოთხრობებისა. საზეიმო განწყობას ქმნიდა ინტერიერი, რომელიც მორთული იყო ფშაური ფარდაგებით, მოსწავლეები გამოწყობილი იყვნენ ამ კუთხისთვის შესაფერის სა-მოსში. 14 დეკემბერს, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ (დირექტორი – ნაზი ნადირაძე) დარბაზში, ჩატარდა ვაჟა ფშაველას საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება – „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი“, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი დარეჯან ცხომარია.  
 ინტეგრირებული ღონისძიება, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა ორი სკოლის დამეგობრებას, ინკლუზიური მოსწავლეების ჩართვას საზოგადოებაში.  
 სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ, №200 საჯარო სკოლა-პანსიონის სსსმ მოსწავლეებთან ერთად, სცენაზე გააცოცხლა მწერლის უკვდავი პერსონაჟები.

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ირმა ბეგიაშვილის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პოემა „გოგოთური და აფშინა“. პედაგოგს დიდი რუდუნებით ჰყავდა მოსწავლეები შერჩეული, რათა მსმენელის გულამდე მიეტანა პოეტის სათქმელი. დიდ შთაბეჭდილებას ქმნიდა სცენაზე გაცოცხლებული პოეტური ნარმოსახვის, რეალური გმირი პერსონაჟები. ხატობაზე მოსულ კარგ ყმებს ნაქებ ვაჟკაცთა ხევისბერი ლოცავს და სიყვარულსა და კაცთმოყვარეობას ქადაგებს. საკუთარ ფერცვალეებს სიამაყით გამოხატავს გმირი პერსონაჟი და ამით გახარებული უფალი კარგ ყმას ჯვარს სწერდა ზენითა.  
 სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების – ნინო მეღვანისა და ლია ლაზიშვილის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ბიოგრაფია გაფორმებული ვიდეომასალით, დანყებითი საფეხურის მოსწავლეებმა – სპექტაკლი „ჩიკვათა ქორნილი“ (მასწავლებლები: რიტა პაპიაშვილი, მარინე კვარაცხელია), №200 სკოლა-პანსიონის მოსწავლეებმა წაიკითხეს ვაჟას ლექსები.

„იდგენ და ელოდენ, უსაზღვროა მთების მოლოდინი“ – კითხულობს სკოლა-ლიცეუმის „ცოდნა“ V კლასის მოსწავლე მარიამ ტყემლაშვილი და მსმენელი თითქოს ხედავს ცამდე აღმართულ გულჯვრიან მთებს...  
 „ვაჰ, დედას თქვენსა ყოვებო...“ – შემართა პატარა მუშტი პირველკლასელმა ლუკა კუხლაშვილმა (მასწავლებელი – ნანა ზურაბიანი). „ულრან ტყეში მოსული ვარ, მანამ ცოცხალი ვარ, ჩემი სილამაზით დავატკობ ტყეს, ბალახს...“ – ამბობს №200 სკოლის მოსწავლე ანრი ტეტულოვი და თითქოს ვხედავთ პატარა ცისფერ ყვავილს, რომელიც სილამაზისთვის და სიყვარულისთვისაა გაჩენილი...  
 №200 სკოლა-პანსიონის და სკოლა-ლიცეუმის „ცოდნა“ მუსიკის პედაგოგებმა – მაყვალა ბუნტურმა და ნათია მოსულიშვილმა ორივე სკოლის მოსწავლეებს ერთობლივი სიმღერით დაასრულეს ღონისძიება.  
 საღამოს დასასრულ მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა სკოლა-ლიცეუმის დირექტორმა ნაზი ნადირაძემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი ნოდარ სანდუხაძე; გამგებლის მოადგილე ვიტალი გოგუაძე; გამგეობის მთავარი სპეციალისტი მანუჩარ ჩაფიჩაძე; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბესარიონ არველაძე; მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ავჭალა-გლდანის ხევის ზონაში ალექსანდრე ჩაფიჩაძე; საკრებულოს წევრი დავით წერეთელი; გლდანი-ნაძალადევის რაიონის რესურსცენტრის სპეციალისტი თამარ კვინინაშვილი; №200 სკოლა-პანსიონის დირექტორი მარინე უჯმაჯურიძე; შ.პ.ს. „კანდიდის“ დირექტორი მარინა ქვრივიშვილი; №59 საჯარო სკოლის დირექტორი ჭაბუკ ჭაბუკიანი და სხვები.  
 გლდანი-ნაძალადევის გამგეობამ და შ.პ.ს. „ცოდნას“ დირექციამ სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები გადასცეს ღონისძიებაში ჩართულ მე-200 სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს.

თეა რუხაძე  
 შ.პ.ს. „ცოდნას“ ისტ მენეჯერი



## მათემატიკის სწავლების მეთოდის ახალი სახელმძღვანელო

ჯემალ ჯინჯიხაძე

მათემატიკის დანყებითი კურსის სწავლების მეთოდის ახალი სახელმძღვანელო

ჯემალ ჯინჯიხაძის „დანყებით სკოლაში მათემატიკის სწავლების მეთოდის ახალი სახელმძღვანელო“ გამომცემლობა „განათლება“-ს გამოსცა 1990 წელს. ამ შესანიშნავი წიგნის ტირაჟი 20000 ეგზემპლარი იყო. გავრცელდა მთელ საქართველოში. 1990 წლიდან ამ წიგნზე დანყებითი კლასების მასწავლებელთა მრავალი თაობა აღიზარდა.  
 მიუხედავად ასეთი დიდი ტირაჟისა, 1996 წლისათვის, აღნიშნული სახელმძღვანელო წიგნის მალაზიების თაროებიდან გაქრა და საჭირო გახდა მისი ხელმეორედ გამოცემა.  
 წელს, საახალწლოდ, გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა ჯემალ ჯინჯიხაძის აღნიშნული სახელმძღვანელოს გადამუშავებული გამოცემა – „მათემატიკის დანყებითი კურსის სწავლების მეთოდის ახალი სახელმძღვანელო“.

განათლების შესახებ საქართველოს ახალი კანონის შემოღებით საქართველოს სკოლებში მრავალი სიახლე შემოვიდა. ამის გამო, მეთოდის სახელმძღვანელო, წინა გამოცემებთან შედარებით, მრავალი ცვლილება განიცადა. მათემატიკის დანყებითი კურსის შინაარსი და მოცულობა, ამ კურსის სწავლების მიზნები, მეთოდები და საშუალებები მისადაგებულია დღევანდელ მოთხოვნებთან.  
 წიგნის პირველ თავში განიხილება მათემატიკის სწავლების მეთოდის ზოგადი საკითხები, მეორე თავში კერძო საკითხები გაშუქებული. აქ განიხილება პროგრამული მასალის ზოგადმეთოდური დამუშავება. მესამე თავი ეძღვნება მათემატიკის დანყებითი კურსის სწავლების მაგისტრალურ საკითხებს. ტერმინი „მაგისტრალური“ ავტორმა გამოიყენა იმ საკითხების მიმართ, რომლებიც კერძო მეთოდის უახლოვდება, მაგრამ მათემატიკის მთელ კურსს გასდევს და ინარჩუნებს ზოგადის თვისებებსაც. მეოთხე თავში საუბარია მოსწავლეთა მათემატიკური მეტყველების განვითარების გზების ძიების შესახებ.  
 დარწმუნებული ვართ, ამ წიგნის სახით განათლების ბაკალავრები, განათლების მაგისტრანტები, განათლების დოქტორანტები, დანყებითი კლასების მასწავლებლები და მათემატიკის მეთოდისტები კარგ დამხმარე მეთოდურ სახელმძღვანელოს მიიღებენ.

რომანოვ დანელია

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ – 599 78 65 54

# სიასლა!

## „ახალი მანათლავის“ ჩელაქია სასწავლო დაწესებულებას სთავაზობს თემატურ ჰელპერებს, ჩვეულებრივებსა და ქართულ მენაღთა პროგრამებს

### თემატური კლასიკები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძველი ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პრეფიქსები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი სახარტველი



### თემატური კლასიკები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიის წარმოშობა
2. გარეული ფრინველები სახარტველოში
3. გარეული ცხოველები სახარტველოში
4. მწერები
5. ძველი ხალხური საკრავები
6. ქვეყნის მფლობელები სახარტველოში
7. სახარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მზის სისტემა
11. ნიადაგი - სიცოცხლის წყარო
12. სახარტველო საგნო დინამიკა
13. კვლევი რეგი
14. მსოფლიოს დროები
15. ზღვის დინამიკა
16. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
17. საგნის წარმოშობა
18. ძველი მეთოდის შედარება და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიოს შვიდი საოცრება



### ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მენაღთა პროგრამები (34X47 სმ)

- |                                 |  |                                   |                        |
|---------------------------------|--|-----------------------------------|------------------------|
| 1. ეპიკური თარგმანი - დამთავრდა | 14. ტიტან ტაბიქა - დამთავრდა           | 25. მურმან ლეონიძე - დამთავრდა    | 38. გრიგოლ მრგვალიანი  |
| 2. მიხეილ ჯავახიშვილი           | 15. სულხან-საბა ორბელიანი              | 26. რევაზ ინანიშვილი              | 39. დავით აღმაშენებელი |
| 3. გიორგი ლეონიძე               |  | 27. ალექსანდრე ყაზვბი - დამთავრდა | 40. გურამ ასათიანი     |
| 4. ტერენტი ბრანელი              | 16. ნიკოლოზ ბარათაშვილი - დამთავრდა    | 28. ალექსანდრე ჭავჭავაძე          |                        |
| 5. ნიკოლოზ მარტვილი - დამთავრდა | 17. იოსებ გრიგაშვილი                   | 29. იაკობ გომეზაშვილი - დამთავრდა |                        |
| 6. გრიგოლ რობაქიძე - დამთავრდა  | 18. პოლიქარპე კაკაბაძე                 | 30. დავით კლდიაშვილი - დამთავრდა  |                        |
| 7. ირაკლი აბაშიძე               | 19. გურამ რეაქტივი                     | 31. აკაკი წერეთელი                |                        |
| 8. ლალო ასათიანი - დამთავრდა    | 20. იაკობ ხუციანი                      | 32. რუსთაველი                     |                        |
| 9. ნოდარ დუმბაძე                | 21. იოსებ საბანიძე                     | 33. ვაჟა-ფშაველა                  |                        |
| 10. მიხეილ გელოვანი             | 22. კონსტანტინე გამსახურდი - დამთავრდა | 34. თეიმურაზ I                    |                        |
| 11. აკაკი ბაქრაძე               | 23. დავით გურამიშვილი                  | 35. ვახტანგ VI                    |                        |
| 12. ვასილ ბარნოვი               | 24. ბესიკი                             | 36. გიორგი მერჩული                |                        |
| 13. პაოლო იაშვილი               |  | 37. ილია ჭავჭავაძე - დამთავრდა    |                        |



### ხელოვნების კაბინეტისთვის ჩვეულებრივები

- |   |  |  |
|---|--|--|
| 1. ტისფარი ბაქრაძე - დავა                     | 6. ავტორტრეტი - რამბრანდტ ჰარმენს ვან რეინი  | 12. საკვირაო გასაღება, ბრან-შატის კუნძულები - ჟორჟ სიორა |
| 2. იმპრესიონიზმის სურათები 10 დასახელება      | 7. მენიები - ველასკესი                       |  |
| 3. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი           | 8. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო            |  |
| 4. მწვერულთა თარგმანი - დომენიკო გირლანდო     | 9. მხატვრის ხელი - კლოდ მონე                 |  |
| 5. ადელ ბლოხ-გაუარის პროტრეტი - გუსტავ კლიმტი | 10. უძველესი მხატვრის დაბრუნება - რამბრანდტი |  |
|   | 11. სახანა - რენუარი                         |  |



# ბავშვთა საკრებულო თავისუფალი აზრის გამოხატვის ასპარეზი

თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი დედაქალაქში საქმიანობს 1999 წლიდან. ცენტრის მუშაობა მრავალმომცველია და ინტერსტრუქტურული – მუდმივად ახორციელებს საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და უფლებადამცავ საქმიანობას.

თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრმა 2006 წლის 25 მაისს დააფუძნა თბილისის ბავშვთა საკრებულო, რომელიც თავისი არსით მოზარდთა თვითაქტიულობისა და თვითრეალიზაციისათვის შექმნილი ახალი ორგანიზაციულ-სტრუქტურული გაერთიანებაა. ბავშვთა საკრებულო ასრულებს მოზარდებისა და საზოგადოების უფროსი ნაწილის შემადგენელი ხიდის როლს. ეს ორგანიზაცია არა მხოლოდ ლიდერთა თეორიულ სწავლებაზე გათვლილი სკოლაა, არამედ ის აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას თითოეულ მოსწავლეს, იმუშაოს დედაქალაქისათვის მნიშვნელოვან კონკრეტულ საკითხებზე.

ბავშვთა საკრებულოს მისიაა ბავშვთა კონვენციით გათვალისწინებული უზენაესი უფლებების – განვითარებისა და აზრის თავისუფლად გამოხატვის ხელშეწყობა.

CRC-ს რეკომენდაციაში მითითებული საკვანძო საკითხების გადაჭრის გზაზე ბავშვთა საკრებულომ წარმატებული ნაბიჯები გადადგა. ეს ორგანიზაცია თითოეულ მოზარდს აძლევს შესაძლებლობას, ნამოჭრან მათი აზრით ყველაზე აქტიურობის პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრელად მათ მიერვე ინიცირებული პროექტებით იმუშაონ.

ბავშვთა საკრებულოს მუშაობის უმთავრესი პრინციპებია:

- დემოკრატიული და სამოქალაქო ფასეულობებზე დაყრდნობით მოქალაქეობის სწავლება და ამგვარად თანატოლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმა;
  - რეალური და პრობლემაზე ორიენტირებული კონკრეტული პროექტებით ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა;
  - ლიბერალური ფასეულობების პოპულარიზაცია თანატოლებში;
  - ტოლერანტული სულისკვეთების დამკვიდრება რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისათვის და მათი მონაწილეობით პროექტების განხორციელების გზით;
  - კულტურული ტრადიციების დაცვა და მათი პოპულარიზაცია.
- თბილისის ბავშვთა საკრებულოს მუშაობა ორიენტირებულია ხუთ ძირითად სფეროზე. შესაბამისად, ბავშვთა საკრებულოში ფუნქციონირებს ხუთი კომისია:

1. იურიდიულ საკითხთა და ბავშვთა უფლებების დაცვის კომისია;



2. ინტეგრაციისა და საზღვარგარეთთან ურთიერთობის კომისია;
  3. განათლების კომისია;
  4. კულტურისა და სპორტის კომისია;
  5. სოციალურ საკითხთა კომისია.
- პროექტები კი, თემატიკის მიხედვით, ქმნიან შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებს:
1. მოქალაქეობის სწავლებაზე ორიენტირებული პროექტები;
  2. კულტურათა დიპლომატი;
  3. სოციალური სპექტრის პროექტები;
  4. კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები;
  5. გარემოს დაცვასა და დასუფთავებაზე ორიენტირებული პროექტები.

საკრებულო პოპულარულია თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობაში, მათ მშობლებსა და საზოგადოების სხვადასხვა ფენაში.

ბავშვთა საკრებულოს საქმიანობა თვალთახედვიდან არ გამოჩენია უწინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს. მან მიგვიღო სამეხობის საკათედრო ტაძარში, დაგვლოცა, წინსვლა და წარმატებები გვისურვა და კურთხევა მოგვცა, რათა კვლავაც გაგვეგრძელებინა მუშაობა.

პატრიარქმა თავის ქადაგებაში დადებითად შეაფასა, რომ საქართველოში ფუნქციონირებს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია, რომელიც რეალურად ჭრის სერიოზულ პრობლემებს და იძლევა ქრისტიანული სიყვარულისა და ადამიანური თანადგომის მაგალითს.

ბავშვთა საკრებულოში ჩართულია დედაქალაქის საჯარო და კერძო სკოლები. ამ ეტაპისთვის ბავშვ-

თა საკრებულოს ჰყავს 27 დეპუტატი. ვემზადებით ახალი არჩევნების ჩასატარებლად.

დღეისათვის დაფინანსებული და განხორციელებულია 37 პროექტი (სკვერების კეთილმოწყობა; უნარშეზღუდული ბავშვებისათვის ხეხილის ბაღის გაშენება; ქალაქის ეკოლოგიასა და სისუფთავებზე ზრუნვა; საგანმანათლებლო, კულტურული და საქველმოქმედო პროგრამები...).

ჩვენ მიერ განხორციელებული ბოლო პროექტია „პოლონურ-ქართული ორენოვანი საბავშვო ლიტერატურული ალმანახი“, რომელიც პოლონეთის საელჩოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით განხორციელდა. თბილისის ბავშვთა საკრებულო მადლობას უხდის პოლონეთის რესპუბლიკის ელჩს, ქალბატონ ურსულა დოროშესკას, კონსულს, ბატონ ზბიგნევი ვიკტორიანს და პოლონეთის რესპუბლიკის ყოფილ ელჩს საქართველოში, ბატონ იაცეკ მულტანოვსკის ალმანახის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორია ბელა სარია. მის მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს „Wspulnota Polska“-ს თბილისის ოფისის დირექტორმა, პროფესორმა მარია ფილინამ. ის გახლავთ პოლონური ტექსტების რედაქტორი და პროფესორმა ნათელა ნადიბაიძემ, რომელმაც მოამზადა პნკარედები ლიტერატურული თარგმანისათვის. პოლონეთიდან მუდმივ დახმარებას გვინეცდა პროფესორი დანუტა ოსოვსკა. შემოქმედებით ჯგუფს ხელმძღვანელობდა ქალბატონი ნინო დვალაშვილი. ალმანახისათვის პოლონური ლიტერატურის პროზაული თუ პოეტური შედეგები თარ-



გმნეს თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა შემოქმედებითი ჯგუფის წევრები არიან: **ოთარ კახიძე, ლექსო დორეული, თამაზ შაგულაშვილი, ნინუცა ნანიტაშვილი, მარიამ მარგველაშვილი, ლიკა დარახველიძე, ანა ჩხიკაძე, სალომე ხარებავა** და **ნათია ზურაბაშვილი**. ილუსტრაციები მომზადდა თბილისის სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა მიერ. 2010 წელს ალმანახის თბილისური პრეზენტაცია გაიმართა სასტუმრო „რადისონ ივერიაში“. პრეზენტაციას ესწრებოდნენ: პოლონეთის ელჩი, ქალბატონი ურსულა დოროშესკა; საპატიო კონსული, ბატონი ზბიგნევი ვიკტორიანი; საქართველოს პარლამენტის, თბილისის საკრებულოს, საერთაშორისო ფონდებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

2011 წლის 2-8 დეკემბერს თბილისის ბავშვთა საკრებულოს დელეგაცია პოლონური მხარის მიწვევით „პოლონურ-ქართული ორენოვანი საბავშვო ლიტერატურული ალმანახის პრეზენტაციისათვის“ იმყოფებოდა ვარშავაში. დელეგაციის ყველა წევრს გადაეცა მსოფლიო პოლონელთა სათავადად ორგანიზაციის Wspulnota Polska სერტიფიკატები და მადლობის წერილები. ორგანიზაციამ, 2009 წლის 20 ნოემბერს, ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის სახელით, მიი-

ღო მადლობა 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის საბავშვო ვერსიის მომზადებისა და წარდგენისათვის.

2008 წელს ორგანიზაციამ მიიღო მადლობა დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების დამოუკიდებელი ცენტრისაგან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში – „ახალგაზრდობა დანაშაულის წინააღმდეგ“ – განსაკუთრებული წვლილისათვის.

საკრებულოს ამჟამინდელ მემადგენლობას პოლონეთში წარმომადგენდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე **სულხან ჩარგვიშვილი** (ი. ვეკუას სახ. 42-ე საჯარო სკოლა), ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე **ქეთევან კვარაცხელია** (ევროპული სკოლა), იურიდიული კომისიის თავმჯდომარე **მარია კუტალაძე** (43-ე საჯარო სკოლა), კულტურის კომისიის თავმჯდომარე **ანი სიხარულიძე** (6-ე საჯარო სკოლა). მოსწავლეთა დელეგაციებს ხელმძღვანელობდნენ ბავშვთა საკრებულოს კურატორები: **შალვა მესტირიშვილი** (რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი) და **თამარ დიასამიძე**.

**ბელა სარია**  
თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ხელმძღვანელი



გამოსაშვები გამოცდაები

2011-2012 სასწავლო წლის  
სკოლის გამოსაშვები გამოცდების საბამოსლო პროგრამა

საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამას.

მათემატიკა

საგნობრივი უნარები

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

რიცხვები და მოქმედებები რიცხვებზე

- ერთმანეთისაგან განასხვავოს და ერთმანეთთან დააკავშიროს ნამდვილ რიცხვთა ქვესიმრავლეები: ნატურალური რიცხვები, მთელი რიცხვები, რაციონალური რიცხვები, ირაციონალური რიცხვები, კენტი რიცხვები, ლუწი რიცხვები, დადებითი და უარყოფითი რიცხვები, მარტივი და შედგენილი რიცხვები.
- რიცხვის ჩაწერა სხვადასხვა (ათობით და ორობით) პოზიციურ სისტემაში.
- ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების თვისებების გამოყენება (მაგალითად: გადანაცვლებადობა, ჯუფთებადობა) და ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით.
- მსჯელობა - დასაბუთების სხვადასხვა ხერხის გამოყენება რიცხვებთან და მათზე მოქმედებებთან დაკავშირებით.
- რიცხვითი სიდიდეების შეფასებისა და შედარების სხვადასხვა ხერხის გამოყენება. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა ხერხით.
- ზომის სხვადასხვა ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.

კანონზომიერებები და ალგებრა

- ფუნქციის თვისებების (მაგალითად: ზრდადობა, კლებადობა, მუდმივობა, ფუნქციის მაქსიმუმი/მინიმუმი) გამოკვლევა და ფუნქციების და მათი თვისებების გამოყენება ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულების შესასწავლად.
- გრაფიკული და ალგებრული მეთოდების გამოყენება ფუნქციის/ფუნქციათა ოჯახის თვისებების შესასწავლად.
- მიმდევრობის თვისებების გამოკვლევა და მიმდევრობების და მათი თვისებების გამოყენება კანონზომიერების შესასწავლად და აღსაწერად.

- განტოლებათა, უტოლობათა და მათი სისტემების გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.
- დისკრეტული მათემატიკის ელემენტების გამოყენება (მაგალითად: ვარიანტების დათვლისას, სიმრავლის ელემენტების რაოდენობის დადგენისას).

გეომეტრია და სივრცის აღქმა

- გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და გეომეტრიული ფიგურების კლასიფიცირება.
- ფიგურებისა და მათი ელემენტების ზომების დადგენა-შეფასება სხვადასხვა ხერხით და მათი გამოყენება ამოცანების ამოხსნისას. გეომეტრიულ ობიექტთა შორის მანძილების მოძებნა.
- გეომეტრიული გარდაქმნების თვისებების ჩამოყალიბება. გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.
- ვექტორებზე მოქმედებების შესრულება და ვექტორების გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.
- გეომეტრიული ამოცანის შესაბამისი ნახაზის შედგენა, ამოცანის მონაცემების დადგენა ნახაზის საშუალებით.
- სივრცით ფიგურასა და მის წარმოდგენებს (მაგალითად: სივრცით ფიგურასა და მის ნახაზს) შორის კავშირების დადგენა. სივრცითი ფიგურის შლილების გამოყენება ამ ფიგურის შესასწავლად.
- დედუქციური/ინდუქციური მსჯელობის გამოყენება გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად. მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა
- მონაცემთა მოწესრიგებისა და წარმოდგენის ხერხების გამოყენება ამოცანის ამოხსნისას. სხვადასხვა ხერხით წარმოდგენილი მონაცემების ინტერპრეტირება.
- მონაცემთა ანალიზი რიცხვითი და გრაფიკული მეთოდების გამოყენებით; შედეგების ინტერპრეტირება და დასკვნების ჩამოყალიბება.
- შემთხვევითი მოვლენის შესაბამისი ალბათური მოდელის შედგენა და მისი გამოყენება შემთხვევითი მოვლენის აღწერისას. ალბათობის თვისებების გამოყენება შემთხვევით მოვლენასთან დაკავშირებული ამოცანის ამოხსნისას.

ა ლ გ ე მ ბ რ ა				
საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან		
1	სიმრავლეები. სიმრავლეები სიმრავლეებზე.	სიმრავლეთა თანაკვეთა, გაერთიანება, სიმრავლის დამატება; ვენის დიაგრამები.		
2	ნატურალური რიცხვები. მარტივი და შედგენილი რიცხვები. გამყოფი და ჯერადი.	<p>ართიმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე.</p> <p>რიცხვის დაშლა მარტივ მარავლებად.</p> <p>რამდენიმე რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა.</p> <p>2-ზე, 3-ზე, 5-ზე, 9-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნები.</p> <p>ნაშთიანი გაყოფა.</p>	<p>მათ. III.1, მათ. III.2, მათ. III.3, მათ. III.4, მათ. IV.2, მათ. IV.3.</p> <p>მათ. VII.1, მათ. IX.2.</p> <p>VII, რიცხვები და მოქმედებები, შინაარსი, მე-6 პუნქტი</p> <p>მათ. VII.1, VII, რიცხვები და მოქმედებები, შინაარსი, მე-6 პუნქტი</p> <p>მათ. VII.1, მათ. VIII.1, VII, რიცხვები და მოქმედებები, VIII, რიცხვები და მოქმედებები, შინაარსი, მე-8 პუნქტი</p> <p>მათ. VII.1, მათ. IX.2.</p> <p>VII, რიცხვები და მოქმედებები, შინაარსი, მე-8 პუნქტი, VIII, რიცხვები და მოქმედებები, შინაარსი, მე-8 პუნქტი</p>	
	3	მთელი რიცხვები	ართიმეტიკული მოქმედებები მთელ რიცხვებზე.	მათ. VII.2, მათ. VIII.2.
	4	რაციონალური რიცხვები. წილადები და ათწილადები.	რაციონალური რიცხვების შედარება და ართიმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე. მთელი რიცხვებისა და ათწილადების დამრგვალება.	მათ. VII.1, მათ. VII.2, მათ. VII.3, მათ. VIII.1, მათ. VIII.2, მათ. VIII.3, მათ. VIII.4.
	5	ირაციონალური რიცხვები. ნამდვილი რიცხვები.	ნამდვილი რიცხვების შედარება და ართიმეტიკული მოქმედებები მათზე.	მათ. X1, მათ. X2, მათ. X3.
6	რიცხვითი ღერძი.	წერტილის კოორდინატი. ნამდვილი რიცხვის შესაბამისი წერტილის გამოსახვა რიცხვით ღერძზე.	მათ. VI.1, მათ. VII.1.	
7	რიცხვითი შუალედები.	რიცხვითი შუალედების გაერთიანება და თანაკვეთა.	მათ. VIII.7.	
8	რიცხვის მოდული.	რიცხვის მოდულის გეომეტრიული აზრი.	მათ. X.3.	

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	
9	ნატურალური რიცხვების წარმოდგენა სხვადასხვა პოზიციურ სისტემაში.	ათობით პოზიციურ სისტემაში მოცემული რიცხვების ჩაწერა ორობითში და პირიქით.	მათ. X.2.
10	პროპორცია.	პროპორციის ძირითადი თვისება, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით. პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება სიდიდეებს შორის.	მათ. VII.2. IX, რიცხვები და მოქმედებები, შინაარსი, მე-6 პუნქტი
11	რიცხვის პროცენტი და ნაწილი.	რიცხვის პროცენტისა და ნაწილის პოვნა. რიცხვის პოვნა მისი პროცენტით ან ნაწილით. ორი რიცხვის ფარდობის პროცენტული გამოსახვა	მათ. VII.2, მათ. VII.4, მათ. X.2.
12	რამდენიმე რიცხვის ართიმეტიკული საშუალო.		მათ. IX.3.
13	ხარისხი ნატურალური და მთელი მაჩვენებლით.	ნამრავლის, ფარდობის და ხარისხის ახარისხება. ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება.	მათ. VII.2, მათ. VIII.1
14	ერთწევრი და მრავალწევრი	მრავალწევრების შეკრება, გამოკლება და გამრავლება.	XII, კანონზომიერებები და ალგებრა, შინაარსი, I პუნქტი
15	შემოკლებული გამრავლების ფორმულები.	$(a \pm b)^2 = a^2 \pm 2ab + b^2$ $(a + b)(a - b) = a^2 - b^2$ $(a \pm b)(a^2 \mp ab + b^2) = a^3 \pm b^3$ $(a \pm b)^3 = a^3 \pm 3a^2b + 3ab^2 \pm b^3$	მათ. VII.7.
16	მრავალწევრის დაშლა მამრავლებად.	საერთო მამრავლის ფრჩხილებს გარეთ გატანა, დაჯგუფების ხერხი, მამრავლებად დაშლა შემოკლებული გამრავლების ფორმულების გამოყენებით.	მათ. VII.7.

გამოსაშვები გამოცდაები

მათემატიკა

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან									
17	რაციონალური გამოსახულება.	მოქმედებები რაციონალურ გამოსახულებებზე.	მათ. IX.2.	ამოცანები განტოლებისა და განტოლებათა სისტემის გამოყენებით.	მათ. X.7.									
18	n-ური ხარისხის ფესვი, არითმეტიკული ფესვი.	არითმეტიკული ფესვის თვისებები.	მათ. VIII.2, მათ. IX.2, მათ. XI.2.	რიცხვითი უტოლობები.	მათ. VI.6, მათ. VII.7									
19	რაციონალურ-მაჩვენებლიანი ხარისხის თვისებები.	რაციონალურმაჩვენებლიანი ხარისხის თვისებები.	მათ. X.3.	უტოლობისა და უტოლობათა სისტემის ამონახსნისა და ამონახსნთა სიმრავლის ცნებები.	მათ. VIII.7, მათ. IX.7, მათ. X.7.									
20	ალგებრული გამოსახულება.	ალგებრული გამოსახულების გარდაქმნა და მისი რიცხვითი მნიშვნელობების გამოთვლა.	მათ. VII.7.	ერთუცნობიანი უტოლობები და უტოლობათა სისტემები.	მათ. VIII.7, მათ. IX.7, მათ. X.7.									
21	რიცხვის ლოგარითმი.	ძირითადი ლოგარითმული იგივეობა. ნამრავლის, შეფარდების და ხარისხის ლოგარითმი. ლოგარითმში ფუძის შეცვლის ფორმულა.	მათ. XI.2, მათ. XI.4.	ერთუცნობიანი უტოლობები და უტოლობათა სისტემები.	მათ. VIII.7, მათ. IX.7, მათ. X.7.									
22	მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე და სივრცეში.	წერტილის კოორდინატები. ნამდვილ რიცხვთა წყვილის და სამეულის გამოსახვა შესაბამისად საკოორდინატო სიბრტყეზე და საკოორდინატო სივრცეში. ორ წერტილს შორის მანძილის გამოსათვლელი ფორმულა.	მათ. VII.12, მათ. VIII.10, მათ. X.10, მათ. X.11, მათ. XI.8 X, შინაარსი, გეომეტრია და სივრცის აღქმა, მე-2 პუნქტი	წრფივი, კვადრატული, ხარისხოვანი, მაჩვენებლიანი, ლოგარითმული, ტრიგონომეტრიული ფუნქციები და მათი გრაფიკები.	მათ. X.6, მათ. XI.5									
23	ფუნქცია. ფუნქციის გრაფიკი. ფუნქციათა კომპოზიცია.	ფუნქციის განსაზღვრის არე. ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე. ფუნქციის ზრდადობა, კლებადობა, ლუწობა, კენტობა, პერიოდულობა. ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობა. ფუნქციათა კომპოზიცია. პარამეტრის შემცველი ფუნქციები.	მათ. VIII.10, მათ. IX.6, მათ. X.6, მათ. X.8, მათ. XI.5, მათ. XI.6, მათ. XII.3.	ერთუცნობიანი წრფივი და კვადრატული განტოლებებზე დაყვანადი ირაციონალური განტოლების ამოხსნა.	მათ. X.7, IX, კანონზომიერებები და ალგებრა, შინაარსი, მე-3 პუნქტი.									
		ფუნქციის მოცემა ცხრილის, ფორმულისა და გრაფიკის საშუალებით. ფუნქციის მნიშვნელობის გამოთვლა არგუმენტის მოცემული მნიშვნელობისთვის.	მათ. VII.5, მათ. VIII.5, მათ. IX.6, მათ. XI.6, მათ. XII.3.											
24	კუთხის გრადუსული და რადიანული ზომა.	კავშირი კუთხის რადიანულ და გრადუსულ ზომებს შორის.	X, რიცხვები და მოქმედებები, შინაარსი, მე-9 პუნქტი.	მაჩვენებლიანი განტოლებებისა და უტოლობების ამოხსნა.	მათ. XI.5, მათ. XI.6									
25	ტრიგონომეტრიული ფუნქციები: სინუსი, კოსინუსი და ტანგენსი.	სინუსის, კოსინუსის და ტანგენსის მნიშვნელობები	მათ. IX.8, მათ. XI.5, მათ. XI.6, XI, კანონზომიერებები და ალგებრა, შინაარსი, I პუნქტი.	ლოგარითმული განტოლებებისა და უტოლობების ამოხსნა.	მათ. XI.5, მათ. XI.6									
		არგუმენტებისთვის; ნიშნები მეოთხედების მიხედვით; პერიოდულობა, ლუწობა და კენტობა.												
		ძირითადი დამოკიდებულებები ერთი და იმავე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის.	მათ. XI.5.											
		დაყვანის ფორმულები.	მათ. XI.5.											
		ტრიგონომეტრიული ფუნქციების მნიშვნელობების გამოსათვლელი ფორმულები ორი არგუმენტის ჯამისა და სხვაობისათვის.	მათ. XI.5.											
26	განტოლება, განტოლებათა სისტემა.	განტოლებისა და განტოლებათა სისტემის ამონახსნისა და ამონახსნთა სიმრავლის ცნებები. ტოლფასი განტოლებები და განტოლებათა სისტემები.	მათ. VIII.7, მათ. X.7.	გეომეტრიული პროგრესიის n-ური წევრისა და პირველი n წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულები	მათ. XI.7 ; IX, კანონზომიერებები და ალგებრა, შინაარსი, მე-5 პუნქტი. XI, კანონზომიერებები და ალგებრა, შინაარსი, მე-5 პუნქტი.									
27	ერთუცნობიანი წრფივი განტოლებები.	წრფივი განტოლების ამოხსნა.	მათ. VII.7.	კომბინატორიკის ელემენტები.	მათ. XI.14, მათ. XII.4, XII, კანონზომიერებები და ალგებრა, შინაარსი, მე-2 პუნქტი.									
28	ერთუცნობიანი კვადრატული განტოლებები.	დისკრიმინანტი.	IX, კანონზომიერებები და ალგებრა, შინაარსი, I პუნქტი.	<p align="center"><b>გეომეტრია / პლანიმეტრია</b></p> <table border="1"> <thead> <tr> <th>საკითხთა ჩამონათვალი</th> <th>საკითხთა დაზუსტება</th> <th>კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი.</td> <td>მათ. II.8, II, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I პუნქტი</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე.</td> <td>მათ. II.8, მათ. III.10, მათ. IV.10. II, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-5 პუნქტი, III, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი</td> </tr> </tbody> </table>		საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	1	წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი.	მათ. II.8, II, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I პუნქტი	2	მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე.	მათ. II.8, მათ. III.10, მათ. IV.10. II, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-5 პუნქტი, III, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი
		საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება			კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან								
1	წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი.	მათ. II.8, II, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I პუნქტი												
2	მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე.	მათ. II.8, მათ. III.10, მათ. IV.10. II, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-5 პუნქტი, III, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი												
კვადრატული განტოლების ამოხსნა.														
29	კვადრატული სამწევრი.	კვადრატული სამწევრის ფესვები. კვადრატული სამწევრის დაშლა წრფივ მამრავლებად.	მათ. X.6.											
30	ორუცნობიანი ალგებრული განტოლებათა სისტემები.	ისეთი ორუცნობიანი ალგებრული განტოლებათა სისტემის ამოხსნა, რომელშიც ერთი განტოლება წრფივია, ხოლო მეორე განტოლების ხარისხი არ აღემატება ორს.	მათ. X.7, IX, კანონზომიერებები და ალგებრა, შინაარსი, მე-3 პუნქტი.											

გამოსაშვები გამოცდაები

მათემატიკა

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
3	კუთხე, კუთხის გრადუსული ზომა, მართი, მახვილი, ზღაგვი და გაშლილი კუთხეები.	მათ. V.7, V, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-2 პუნქტი	19	სამკუთხედის კერძო სახეები: მართკუთხა, მახვილკუთხა, ზღაგვიკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა სამკუთხედები.	მათ. V.8, მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი
4	კუთხის ბისექტრისა.	მათ. VII.13, მათ. IX.10. VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-7 პუნქტი	19	ტოლფერდა სამკუთხედის თვისებები (ტოლფერდა სამკუთხედში ფუძესთან მდებარე კუთხეები ტოლია; ტოლფერდა სამკუთხედში ფუძისადმი გავლებული მედიანა, ბისექტრისა და სიმაღლე ერთმანეთს ემთხვევა).	მათ. V.8, მათ. VII.13. VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი
5	მონაკვეთის შუამართობი.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-7 პუნქტი			
6	მოსაზღვრე და ვერტიკალური კუთხეები.	მათ. VII.9, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი	20	მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის ნიშნები მართკუთხა სამკუთხედში 30° -იანი კუთხის მოპირდაპირე კუთხის თვისება. მართკუთხა სამკუთხედში კუთხეებსა და გვერდებს შორის ტრიგონომეტრიული თანაფარდობები. თანაფარდობები ჰიპოტენუზაზე დაშვებულ სიმაღლეს, კათეტებს, კათეტების გეგმილებს და ჰიპოტენუზას შორის $(h^2 = a_c b_c, a^2 = c a_c, b^2 = c b_c, ch = ab)$	მათ. V.8, მათ. IX.8, VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი IX, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-2 პუნქტი
	7	წრფეთა პარალელობა. ორი წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას მიღებული კუთხეები.			
8	კუთხე ორ წრფეს შორის. წრფეთა მართობულობა. მართობი, დახრილი და გეგმილი. მანძილი წერტილიდან წრფემდე.	მათ. VII.9, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-3 პუნქტი			
9	მრავალკუთხედი და მისი ელემენტები: გვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი. მრავალკუთხედის პერიმეტრი.	მათ. IV.10. IV, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი	21	პითაგორას თეორემა.	მათ. VII.13, მათ. VIII.8, VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი
10	ამოზნეილი მრავალკუთხედი.	მათ. VII.9, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-2 პუნქტი	22	თალესის თეორემა.	მათ. VII.9, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-3 პუნქტი XI, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I პუნქტი
11	სამკუთხედი და მისი ელემენტები: გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი	23	სამკუთხედის შუახაზი.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი
12	სამკუთხედის კუთხეები.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 და მე-4 პუნქტი	24	სამკუთხედების მსგავსება.	მათ. IX.8, მათ. X.12, IX, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I პუნქტი X, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I პუნქტი
13	სამკუთხედების ტოლობა.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი	25	სინუსების თეორემა.	მათ. X.12,
14	სამკუთხედის უტოლობა.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი	26	კოსინუსების თეორემა.	მათ. X.12,
			27	სამკუთხედების ამოხსნა.	მათ. VII.13.
15	დამოკიდებულებანი სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი	28	პარალელოგრამის გვერდებისა და კუთხეების თვისებები. პარალელოგრამის დიაგონალების თვისებები (პარალელოგრამის დიაგონალების გადაკვეთის წერტილი პარალელოგრამის სიმეტრიის ცენტრია; პარალელოგრამის დიაგონალების სიგრძეების კვადრატების ჯამი მისი გვერდების სიგრძეების კვადრატების ჯამის ტოლია).	მათ. VIII.8, VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-2 პუნქტი
16	სამკუთხედის მედიანა.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი			
17	სამკუთხედის ბისექტრისა.	მათ. VII.13, VII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 და მე-7 პუნქტი	29	რომბი.	მათ. VIII.8, მათ. VIII.9 VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-2 პუნქტი
			30	მართკუთხედი, კვადრატები.	მათ. VIII.8, VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-2 პუნქტი

გამოსაშვები გამოცდაები

მათემატიკა

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება	კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	
31	ტრაპეცია და მისი ელემენტები: ფუძე, ფერდი, სიმაღლე, ტრაპეციის შუახაზი.	მათ. VIII.8, მათ. VIII.9 VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-2 პუნქტი	43	გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე.	მათ. VI.8., მათ. VII.11. მათ. VIII.8, მათ. IX.9, მათ. X.12, VI, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I პუნქტი VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-5 პუნქტი X, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი	
32	ტრაპეციის კერძო სახეები: ტოლფერდა ტრაპეცია, მართკუთხა ტრაპეცია.	მათ. VIII.8, მათ. VIII.9 VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-2 პუნქტი			ცენტრული სიმეტრია. სიმეტრიის ცენტრი. ფიგურის სიმეტრიულობა წერტილის მიმართ.	
33	ტოლფერდა ტრაპეცია.	მათ. VIII.8, მათ. VIII.9 VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-2 პუნქტი			ლერძული სიმეტრია. სიმეტრიის ღერძი. ფიგურის სიმეტრიულობა ღერძის მიმართ.	X, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი
34	ბრტყელი ფიგურის ფართობი.	მათ. V.9, მათ. VI.10, მათ. X.10.			პარალელური გადატანა. ჰომოთეტია. მობრუნება წერტილის გარშემო.	X, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-3 პუნქტი
35	კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის, პარალელოგრამის და ტრაპეციის ფართობი.	მათ. VIII.8, მათ. VIII.9 VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I და მე-2 პუნქტი	<b>გეომეტრია / სტერიომეტრია</b>			
36	რკალის გრადუსული და რადიანული ზომა.	მათ. V.7, V, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, I პუნქტი მათ. IX.8. IX, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 და მე-5 პუნქტი	1	წერტილი, წრფე და სიბრტყე სივრცეში.	მათ. VII.12, VII მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა შინაარსი, I პუნქტი.	
	რიცხვი √ .		2	წრფეთა ურთიერთ-განლაგება სივრცეში.	ურთიერთგადამკვეთი, პარალელური და აცდენილი წრფეები. წრფეთა პარალელობის ნიშანი.	XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა შინაარსი, I პუნქტი.
	წრწილის და მისი რკალის სიგრძის გამოსათვლელი ფორმულები.		3	წერტილის, წრფის, მონაკვეთის ორთოგონალური დაგეგმილება სიბრტყეზე.		XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა I პუნქტი.
	ქორდის მართობული დიამეტრის თვისება.		4	წრფისა და სიბრტყის მართობულობა.	წრფისა და სიბრტყის ურთიერთმართობულობის ნიშანი.	XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა I პუნქტი.
37	ცენტრალური და ჩახაზული კუთხეები.	მათ. IX.8, IX, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი	5	წრფისა და სიბრტყის პარალელობა.	წრფის და სიბრტყის პარალელობის ნიშანი.	XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა I პუნქტი.
38	წრწილის მხების თვისება.	IX, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი	6	სიბრტყეთა პარალელობა.	ორი სიბრტყის პარალელობის ნიშანი.	XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა I პუნქტი.
	წერტილიდან წრწილისადმი გაკლებული ორი მხები მონაკვეთის ტოლობა. ურთიერთგადამკვეთი ქორდების თვისებები. წრწილისადმი ერთი წერტილიდან გაკლებული მხებისა და მკვეთის თვისებები.		7	კუთხე სიბრტყეებს შორის.		XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა I პუნქტი.
	სამკუთხედში ჩახაზული წრწილის ცენტრის მდებარეობა; სამკუთხედზე შემოხაზული წრწილის ცენტრის მდებარეობა.		8	სიბრტყეთა მართობულობა.	ორი სიბრტყის მართობულობის ნიშანი.	XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა I პუნქტი.
39	სამკუთხედში ჩახაზული და სამკუთხედზე შემოხაზული წრწილების რადიუსების გამოსათვლელი ფორმულები: $r = \frac{2S}{a+b+c}, R = \frac{abc}{4S}, R = \frac{a}{2\sin A}$	მათ. IX.8, IX, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი	9	მონაკვეთი, მართობი და დახრილი. მანძილი წერტილიდან სიბრტყემდე.	სამი მართობის თეორემა.	XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა I პუნქტი.
40	წესიერი მრავალკუთხედის გვერდსა და მასში ჩახაზული და შემოხაზული წრწილის რადიუსებს შორის დამოკიდებულება: $r = \frac{a}{2\operatorname{tg} \frac{180^\circ}{n}}, R = \frac{a}{2\sin \frac{180^\circ}{n}}$	მათ. IX.8, IX, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-4 პუნქტი	10	კუთხე წრფესა და სიბრტყეს შორის.		XI. მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა I პუნქტი.
	წესიერი მრავალკუთხედის ფართობის გამოსათვლელი ფორმულები მასში ჩახაზული, მასზე შემოხაზული წრწილების რადიუსების და მრავალკუთხედის გვერდის საშუალებით.		11	ორწახაზა კუთხე. ორწახაზა კუთხის ზომა.		მათ. XII.5.
41	წესიერი მრავალკუთხედის ფართობი.	VIII, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-2 პუნქტი	12	მრავალწახაზა და მისი ელემენტები (წვერო, წიბო, წახაზი).	მათ. VII.10, მათ. X.12 X მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა შინაარსი, მე-4.	
42	წრიული სექტორისა და წრის ფართობი.	მათ. IX.8, IX, გეომეტრია და სივრცის აღქმა, შინაარსი, მე-5 პუნქტი	13	პრიზმა და მისი ელემენტები (ფუძე, გვერდითი წახაზი, გვერდითი წიბო, სიმაღლე, დიაგონალი).		მათ. IV.11.
			14	პრიზმის კერძო სახეები (მართი პრიზმა, წესიერი პრიზმა, მართი პარალელეპიპედი, მართკუთხა პარალელეპიპედი, კუბი). მართი პრიზმის დიაგონალური კვეთა.		VIII, მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა. შინაარსი, მე-2 პუნქტი.
			15	პირამიდა და მისი ელემენტები (წვერო, გვერდითი წიბო, ფუძე, გვერდითი წახაზი, სიმაღლე).		მათ. III.8., მათ. VIII.10.



გამოსაუვალი გამოცემა

მათემატიკა

Table with 4 columns: საკითხთა ჩამონათვალი, საკითხთა დაზუსტება, კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, and numerical identifiers (16-23).

ინფორმაცია


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ ინკლუზიური განათლების სფეროში შეტანილი წვლილისათვის მულტიდისციპლინური გუნდის 40 წევრს მადლობის სიგელები გადასცა.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე (მეორე მხრიდან) ინკლუზიური განათლების სფეროში შეტანილი წვლილისათვის მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს მადლობის სიგელები გადასცემს.

კვალი ნათელი

ღირსეული მამულიშვილი



არიან ადამიანები, რომელთა ნაკვალევს ვერავითარი დრო-ჟამი ვერ წაშლის, მათი მამულიშვილური საქმიანობა ლამპარით გზას უნათებს შთამომავლობას. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება აფხაზეთისა და ზემო სვანეთის საზოგადოებისათვის ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე აფრასიონ სეფეს ძე გასვიანი.

1972 წელს აფრასიონ გასვიანს დიდი უბედურება დაატყდა თავს, ტრაგიკულად დაიღუპა მისი საყვარელი ვაჟიშვილი ჯემალი, დიდი მომავლის მქონე, ულამაზესი ახალგაზრდა, რაც მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა მის და მეუღლის ბაბო გულბანის ცხოვრებაში.

პახტანაზ გასვიანი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე 1985-2005 წწ.

# საქართველოს შვილები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „სასკოლო პარტნიორობის ღონისძიებები“ ბორჯომის №6 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტი „საქართველოს შვილები“ მონონებულ იქნა და გამარჯვებულ პროექტებს შორის აღმოჩნდა. პროექტის ფარგლებში პარტნიორობა შეეთავაზეთ ნინოწმინდის №3 და თელავის რაიონის ყარაჯალის საჯარო სკოლებს. სამივე სკოლაში მოსამზადებელი სამუშაოები „მეგობრობის კვირეულით“ დაიწყო. 7-დან 17 ნოემბრის ჩათვლით გამოფენისათვის შეირჩა მოსწავლეთა ხელნაკეთი ნამუშევრები, მომზადდა რეფერატები: „ჩემი სკოლის ისტორია“, „ლეგენდა“ და „ჩვენებური ტრადიცია“.

№6 საჯარო სკოლის ლიტერატურულ სალონში „მანანა“ მომზადდა და გამოიცა ლიტერატურული ალმანახი „საქართველო, ლამაზო!“, რომელშიც განთავსდა ამონარიდები ქართველი მწერლებისა და პოეტების ცნობილი ლექსებიდან და ნაწარმოებებიდან; დამზადდა სიგელები სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულთათვის. შეირჩა პროექტის მონაწილე VII-XI კლასის 10 მოსწავლე, რომელთა ოჯახებიც 10 დღის განმავლობაში უმასპინძლებდნენ აზერბაიჯანელ და სომეხ თანატოლებს.

18 ნოემბერს, საღამოს 5 სთ-ზე, ნინოწმინდისა და ყარაჯალის სკოლების დელეგაციებს საზეიმო შეხვედრა მოეწყვეთ. ნინოწმინდის №3 საჯარო სკოლის დელეგაციას ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი **არმენი ხარშიანი**, ხოლო ყარაჯალის სკოლის დელეგაციას სკოლის დირექტორი **ელზა ამროვა**. გაცნობის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ოჯახებს მიაშურეს.

19 ნოემბერს პროექტის მონაწილეები ესტუმრნენ ბორჯომის №2 ჩამომსხმელ ქარხანას, ნახეს ბორჯომის წყლის ჩამოსხმის პროცესს. პროექტის პარტნიორი, ქარხნის დირექტორი **სტეფანე გაბრიელიძე**, სტუმრებს ქარხნის ისტორიასა და თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებზე ესაუბრა. შემდეგ პროექტის მონაწილეები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ესტუმრნენ, გაეცნენ პარკის შექმნის ისტორიას, ნაჩვენები იქნა ფილმი საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. საჩუქრად მიიღეს სალაშქრო რუკა. შემდეგ დაათვალიერეს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ნახეს ფილ-

მი „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“. საღამოს კი, ყველამ ერთად დაათვალიერა ბორჯომის განახლებული ისტორიული მინერალური წყლების პარკი.

20 ნოემბერი მთლიანად სპორტულ ღონისძიებებს დაეთმო. ამჯერად გვიმასპინძლა ბორჯომის №3 საჯარო სკოლა და სპორტის მასწავლებელმა **ვალერი უადანმა**. სამივე ეროვნების მოსწავლეებისაგან დაკომპლექტებული ორი გუნდი – „თორი“ და „ნუა“ მასპინძელი სკოლის სპორტის მასწავლებლების – **მაკა** და **გიორგი გელაშვილების** დახმარებით ერთმანეთს მხიარულ სტარტებში შეეჯიბნენ. გაიმართა ტურნირი ფრენბურთში. ტურნირის ბოლოს, მოსწავლეთა გამარჯვებულმა გუნდმა მეგობრული შეხვედრა გამართა მასწავლებლებისა და მშობლებისაგან შემდგარ გუნდთან. ამავე დღეს, №6 საჯარო სკოლაში გაიმართა მეგობრული შეხვედრა მაგიდის ჩოგბურთში სკოლის კურსდამთავრებულებსა და პროექტის მონაწილე მოსწავლეებს შორის. საღამოს გაიმართა დისკოთეკა, სადაც ყარაჯალელ **ყიზბას ისკანდაროვს** დაბადების დღესთან დაკავშირებით მეგობრებმა ტორტი მიართვეს.

21-25 ნოემბერს სტუმრები, მასპინძლებთან ერთად, დილიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში, მონაწილეობა მიიღეს ქართულის, ისტორიის, მათემატიკის, ინგლისურის გაკვეთილების მსვლელობაში და ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებაში, სტუმრებმა მასპინძელი მასწავლებლების შექება დაიმსახურეს.

21 ნოემბერს, გაკვეთილების შემდეგ, ყარაჯალისა და ნინოწმინდის №3 საჯარო სკოლების მოსწავლეების ნაწილმა მონაწილეობა მიიღო კალიგრაფიის კონკურსში, ნაწილმა კი ლიტერატურული სალონის „მანანა“ ხელმძღვანელის **ანასტასია ხაჩიძის** დახმარებით ქართველ პოეტთა ლექსები შეისწავლა, მუსიკის მასწავლებელმა **ბელა ანთიძემ** სტუმრები ქართულად აამღერა, ვაჟებმა და გოგონებმა ქართული ცეკვის რამდენიმე ილეთი შეისწავლეს. დღე დისკოთეკით დათავრდა.

22 ნოემბერს, გაკვეთილების შემდეგ, პროექტის მონაწილეებს თბილი შეხვედრა მოუწყო ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დასმა (დირექტორი – **ქეთევან სირაძე**), ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „ოქროს წი-



წილა“, ხოლო კულტურისა და ხელოვნების ცენტრში (დირექტორი – **გონა ბლიაძე**) გაიმართა მოსწავლეთა თვითშემოქმედების კონცერტი.

23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს მიეძღვნა ექსკურსია მცხეთა-საგურამოში. პროექტის მონაწილეებმა დაათვალიერეს განახლებული სატაბტო ქალაქი

მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძარი, სამთავროს მონასტერი, ჯვრის მონასტრიდან დატკბნენ ულამაზესი ხედებით. ამ დღემ უფრო მეტად დააახლოვა საქართველოს შვილები, კიდევ ერთხელ გაახსენა მათ მშობლიური ქვეყნის დიდებული წარსული.

24 ნოემბერს, გაკვეთილების შემდეგ, პროექტის მონაწილე 30 მოსწავლე და ბორჯომის



სასკოლო პარტნიორობა



№6 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები...

25 ნოემბერს №6 საჯარო სკოლის ხელოვნების კაბინეტი ვერ იტყვდა...

ყველაზე მრავალფეროვანი და ემოციურად დატვირთული გამოდგა...

სალამოზე მონვეული იყვნენ ბორჯომის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის...

პროექტი „საქართველოს შვილები“ შეაჯამა ბორჯომის №6 საჯარო სკოლის...

პროექტის მონაწილე ყველა მოსწავლეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრების ნაკრები...

27 ნოემბერს დიდიხანაში დაიწყო, ამინდის გაუარესების გამო, ნინომინდასა...

მანანა ბერიძე, ნანა ლორთქიფანიძე პროექტის ავტორები

იქნებ ვაზია სამშობლო

ვაზი მარტო უძველესი და უმნიშვნელოვანესი კულტურა როდია...


მოსწავლეები ინტერესით ეცნობიან ვაზის შესახებ არსებულ ყველა მასალას...

ესვამ კითხვას: როგორ ფიქრობთ, დიდი შრომა სჭირდება ვაზის მოვლას...

ბავშვები ჯგუფდებიან. იმართება დისკუსია. ისინი მსჯელობენ...

ბავშვებს მოეგონებოდა აკაკი წერეთლის ადრე შესწავლილ მოთხრობას...

ასოციაციური რუკა



მაშ, ვაზი არ ყოფილა მარტო ვაზი, ანუ მცენარე, რომელიც ყურძენს იძლევა...

ყველას ასე უნდა გვიყვარდეს და ვუფრთხილდებოდეთ ვაზს...

ვაზზე მიძღვნილი გაკვეთილის დროს საგანგებოდ ვრთავ საკლასო ოთახს...

დაფაზე ვწერ სავარჯიშოს: ვიცოდი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე...

Table with 3 columns: ვიცოდი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე. It contains text about learning and understanding.

ბავშვები იხსენებენ ანდაზებს, ბრძნულ გამონათქვამებს, ლექსებს...

„პირველ ყოვლისა ყურძენს ვაქებ“, „იმას ვენაცვალე ძირში, უნდა ვაქო ქართული ვაზის ყველა ხუთასივე ჯიმი“...

მოსწავლეებს არც გამოცანები გამორჩენიათ. „იგი დიდი სიკეთით და მადლით არის ცნობილი, მარტო ფეხზე დგომა უჭირს...“

ბავშვების დიდ ინტერესს იწვევს თამაში „გამოიცან სწორად“. ვაკეთებ მინიშნებას რომელიმე ხილზე...

– რაზე მიგვანიშნებს სათაური „ვენახი“, რაზე იქნება საუბარი? – ვენახზე, ვაზზე, მის სარგებლობაზე.

დაიბ, დღეს ჩვენი გაკვეთილი ეძღვნება ვაზს. ვკითხულობ პირველ აბზაცს და ვსვამ საკონტროლო კითხვას...

ვაზო შვილივით ნახარდო, მოვკვდები მე შენს ძირშია, შენით ვარ მხნე და გულადი, იმედო გასაჭირშია.

ტექსტის გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიშის შემდეგ აქცენტი კეთდება იმ ფაქტზე, რომ ვაზის გაზრდას შვილის გაზრდას ადარებს გლეხკაცი.

დაფაზე ვაკეთებ სქემას:

Table with 4 columns: რა არ ვიცოდი, რა გავიგე, რამ დამამწუხრა, რამ გამახარა. It contains text about learning and understanding.

კვლავ საკონტროლო კითხვებს ვსვამ. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ირკვევა მოთხრობის თემა...

„გამორჩეულად მიყვარს ვაზი. იგი, როგორც მუხა საქართველოში, კულტის მცენარედ ითვლება. ამაზე არაერთი თქმულება, ლეგენდა, ლექსი, გამოცანა თუ ანდაზა მიაწოდებს...“

საამაყოა, რომ ჩვენს ქვეყანაში 500-მდე ადგილობრივი ვიშა გავრცელებული. მათგან ყველაზე მეტად გაითქვა სახელი „რქანითელა“...

ასეთ მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ მუშაობას თავისი შედეგი მოაქვს – ბავშვებში იღვიძებს ამაღლებული, კეთილშობილური გრძნობები...

ნათელა კახიძე მარადიდის საჯარო სკოლის მოსწავლელი, იაკობ გოგებაშვილი პრემიის ლაურეატი

## ქართველი მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა, I-IV ტომი, – 11 ლარი
- ❖ ნოდარ დუმბაძე, I-V ტომი, – 13 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვავიძე, I-II ტომი, – 11 ლარი
- ❖ მისხილ ჯავახიშვილი, I-VII ტომი – 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა, I-II ტომი – 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი, I-II ტომი – 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია, I, II, III, VI, VII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი – 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი, I-V ტომი – 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭავჭავაძე, I-IV ტომი – 12 ლარი
- ❖ ბრიგოლ აბაშიძე, I-II ტომი – 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი, I-IX ტომი – 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე, I-VI ტომი – 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი, I-IV ტომი – 13 ლარი


მითითებულია თითო ტომის ფასი

## გამოცემლობა „აქალი“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.


### გამორჩეულ წიგნები და მიიღეთ სპეციალური ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიები“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საქართველოში! მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



## „ახალი განათლება“ წიგნის თანად

### მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!


მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხვით რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

## უკეთესი წიგნებით!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია


~~40~~ 30 ლარი

### „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - მაღამ გოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მიგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი



### „რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბულაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.  
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა GE 86 BG 000000 123631000 GEL

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096  
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.